- დ) მკრთალ სპიროქეტაზე განმეორებითი გამოკვლევას.

786. შანკრი პანარიციუმი წარმოადგენს:

- ა) ხელის თითის ეროზიას ან წყლულს;
- ბ) ლაზიანებული ფალანგის მომაში გადიდება, კანზე ანთების ნიშნების გარეშე;

გ) დაზიანებული ფალანგის ზომაში გადიდება, კანზე ანთების ნიშნებით;
*დ) ყველა ჩამოთვლილი სწორია.

787. ნააღრევი ფარული სიფილისით დაავადებულთა სქესობრივ კონტაქტს აღმოაჩნლებათ:

- *ა) ახალი სიფილისის მანიფესტური ფორმები;
- ბ) მოგვიანებითი ფარული სიფილისი;
- გ) ფარული დაუღვენელი სიფილისი.

788. სიფილისის ინკუბაციური პერიოდის გახანგრძლივება ხდება:

- ა) თანმხლები ინფექციური დაავადებებისას;
- ბ) მაგარი შანკრის ბიპოლარული განლაგებისას;
- *გ) ინკუბაციურ პერიოდში ანტიბიოტიკების მიღებისას;
- დ) ინფექციის წყაროსთან სქესობრივი კონტაქტების გაგრძელებისას.

789. მეორე ხანის სიფილიდების ჰისტოლოგიური გამოკვლევისას ძირითადი ცვლილებები ვლინდება:

- ა) ეპიდერმისში;
- *ბ) ლერმაში;
- გ) კანქვეშა ქსოვილში;
- დ) კუნთებში.

790. სიფილისური რომეოლის ნაირსახეობას არ მიეკუთვნება:

- ა) ელევირებული;
- ბ) მარცვლოვანი;
- გ) შერწყმადი;
- დ) ჰემორაგიული;
- *ე) ტოქსიური.

791. 19 წლის ავადმყოფს მცირე სასირცხოვ ბაგეების შიდა მედაპირზე აღენიშნება მრავლობითი, მტკივნეული, არასწორი კიდეებით წყლულები. დიამეტრით 1 - 2 სმ. წყლულის ფსკერი დაფარულია სეროზულ - ჩირქოვანი ნაღებით. სხეულის ტემპერატურაა 38°, აციებს, საზარდულის ლიმფური ჯირკვლები უცვლელია. ღიაგანობის დასაშუსტებლად საჭიროა ყველა ჩამოთვლილი გამოკვლევა, გარდა:

- *ა) მკრთალი სპიროქეტის იმობილიზაციის რეაქცია;
- ბ) წყლულიდან აღებული მასალის მკრთალი სპიროქეტაზე გამოკვლევა;
- გ) იმუნოფლუორესცენციის რეაქცია.

792. მოგვიანებითი ფარული სიფილისისათვის დამახასიათებელია:

- ა) სქესობრივ პარტნიორთან სიფილისის მანიფესტური ფორმის გამოვლენა;
- *ბ) სქესობრივ პარტნიორთან სიფილისის ნიშნების არარსებობა;
- გ) სქესობრივ პარტნიორთან ნააღრევი ფარული სიფილისის გამოვლენა.

793. პირის ღრუს ლორწოვანი გარსის სიფილისური პაპულები უნდა იქნას დიფერენცირებული ყველა ჩამოთვლილი დაავადების გამოვლინებისაგან, გარდა:

- ა) ლაკუნარული ანგიის;
- ბ) ხახის დიფტერიის;
- გ) ფუმოსპირილოზის;
- დ) წითელი ბრტყელი ლოქენის;
- *ე) ნევუსის.

794. მეორე ხანის სიფილისისათვის დამახასიათებელია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) გამონაყარის პოლიმორფიზმი;
- ბ) მწვავე ანთებითი მოვლენები;
- *გ) ქავილი დაზიანებულ კერებში;
- დ) გამონაყარის თვითუკუგანვითარება.

795. მეორადი სიფილიდებისათვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები:

- ა) არამკვეთრი კიდეები;
- ბ) ტკივილი, წვის შეგრძნება;
- გ) მწვავე ანთებითი ხასიათი;
- *დ) ქრებიან უკვალოდ.

796. გამოყოფენ სიფილისური ლეიკოდერმის შემდეგ სახეებს, გარდა:

- ა) ლაქოვანი;
- *ბ) შეერთებალი;
- გ) მარმარილოსებრი;
- დ) მაქმანისებრი.

797. კანის გუმოზური დაზიანება საჭიროა დიფერენცირებული იყოს ყველა ჩამოთვლილი დაავადებისაგან, გარდა:

- ა) სკროფულოდერმის;
- *ბ) პარაფსორიაზის;

- გ) გროფიული წყლულის;
- დ) ქრონიკული დაწყლულებული პიოდერმიის;
- ე) ლეიშმანიოზის.

798. 42 წლის უცხოელ ავადმყოფს, პროფილაქტიკურ შემოწმებისას დადებითი აღმოაჩნდა მიკროპრეციპაციის რეაქცია კარლიოლიპინის ანტიგენით (ექსპრეს - მეთოდი). სერორეაქცია გრეპონემული და კარლიოლიპინური ანტიგენით ორჯერ მკვეთრად დადებითა შემდეგი ტიტრით 1 : 160 და 1 : 320. საზარდულის და კეფის ლიმფური კვანძები უმნიშვნელოდ გადიდებული და გამკვრივებულია - ანამნეზში - შემთხვევითი კონტაქტი 1 წლის უკან და თვითმკურნალობა ტეტრაციკლინით (2 აბი 4-ჯერ დღეში 4 - 5 დღე). უნდა დაისვას დიაგნოზი:

- *ა) ნაადრევი ფარული სიფილისი;
- ბ) მოგვიანებითი ფარული სიფილისი;
- გ) დაუდგენელი ფარული სიფილისი.

799. ხორკლოვანი სიფილისის ფორმებია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- *ა) ერთეული;
- ბ) დაჯგუფებული;
- გ) ჯუჯოვანი.

800. ნაადრევი თანდაყოლილი სიფილისის დროს ძვლების დამიანების პათოგნომიური ნიშნებია:

- ა) I ხარისხის ოსტეოქონდრიტი;
- *ბ) II ხარისხის ოსტეოქონდრიტი;
- გ) პერიოსტიტი;
- დ) ოსტეომიელიტი.

801. არანამკურნალე ავადმყოფებში მეორადი სიფილიდების უმრავლესობა გაიწოვება:

- ა) 1 - 2 თვის შემდეგ;
- *ბ) 2 - 3 თვის შემდეგ;
- გ) 3 - 4 თვის შემდეგ;
- დ) 4 - 5 თვის შემდეგ.

802. ყველაზე უფრო სპეციფიური სეროლოგიური ტესტი სიფილისზე არის:

- ა) იმუნოფლუორესცენციის რეაქცია;
- *ბ) მკრთალი გრეპონემის იმობილიზაციის რეაქცია;
- გ) ვასერმანის რეაქცია გრეპონემული ანტიგენით;
- დ) კოლმერის რეაქცია;
- ე) მიკროპრეციპაციის რეაქცია.

803. პირველადი სიფილისის დროს რეგიონალური სკლერაღენიტი ჩნდება წყლულის გაჩენიდან:

- ა) 3 - 5 დღის შემდეგ;
- *ბ) 5 - 8 დღის შემდეგ;
- გ) 8 - 12 დღის შემდეგ.

804. ნაადრევი თანდაყოლილი სიფილისისათვის პათოგნომურია:

- ა) ტანზე პაპულოზური გამონაყარი;
- *ბ) სიფილისური ჰემფიგუსი;
- გ) სიფილისური ალოპეცია.

805. ნაადრევი თანდაყოლილი სიფილისის დროს ოსტეოქონდრიტი ვითარდება:

- *ა) მუცლად ყოფნის მე - 5-6 თვეს;
- ბ) სიცოცხლის მე - 2-3 თვეს;
- გ) სიცოცხლის მე - 4-5 თვეს;
- დ) სიცოცხლის მე - 6-7 თვეს.

806. ნაადრევი თანდაყოლილი სიფილისის დროს თვალის პათოგნომურ დამიანებას წარმოადგენს:

- ა) კონიუქტივიტი;
- *ბ) ქორიორეგინიტი;
- გ) ირიტი;
- დ) კერატიტი.

807. ავადმყოფს ჩაუტარდა სრულყოფილი მკურნალობა მეორადი რეციდივული სიფილისის გამო. სერორეაქციების ნეგატივაციიდან ერთი თვის შემდეგ დაორსულდა და ჩაიტარა პროფილაქტიკური მკურნალობა. ბავშვს ესაჭიროება:

- ა) 2 კვირის ხანგრძლივობის პროფილაქტიკური მკურნალობა;
- ბ) 4 კვირის ხანგრძლივობის პროფილაქტიკური მკურნალობა;
- *გ) 1 წლის განმავლობაში კლინიკო-სეროლოგიური კონტროლი;
- დ) 3 წლის განმავლობაში კლინიკო-სეროლოგიური კონტროლი;
- ე) ერთჯერადი კლინიკო-სეროლოგიური გამოკვლევა.

808. 6 თვის ბავშვის ლულოვანი ძვლების რენტგენოგრაფია ნაადრევი ფარული სიფილისის გამოვლენის მიზნით (ოსტეოქონდრიტის აღმოსაჩენად):

- ა) მიზანშეწონილია;
- *ბ) ამრი არა აქვს;
- გ) როგორც ექიმი ჩათვლის საჭიროდ;
- დ) სერორეაქციების შედეგების მიხედვით.

809. თავის გვინის გუმის დროს თვალის ფსკერის დაზიანება:

- *ა) ხშირად გვხვდება;
- ბ) არ გვხვდება;
- გ) კანონზომიერება არ არსებობს;
- დ) გვხვდება მხოლოდ დიდი ზომის გუმის დროს;
- ე) გვხვდება მხედველობის ნერვის დაზიანების დროს.

810. მოგვიანებითი თანდაყოლილი სიფილისი ყველაზე ხშირად რომელ ასაკში ვლინდება:

- ა) 2 - დან 4 წლამდე;
- *ბ) 4 - დან 17 წლამდე;
- გ) 17 - დან 25 წლამდე.

811. სიფილისის მეთრე ხანა საშუალოდ იწყება ინფიცირებიდან:

- ა) 1 - 2 თვის შემდეგ;
- *ბ) 2 - 3 თვის შემდეგ;
- გ) 3 - 4 თვის შემდეგ;
- დ) 4 - 5 თვის შემდეგ.

812. ნაადრევი სიფილისის დროს ვისცეროპათიებიდან ყველაზე ხშირად გვხვდება დაზიანება:

- ა) ფილგვის;
- ბ) კუჭის;
- *გ) ღვიძლის;
- დ) გულის;
- ე) თირკმლის.

813. სიფილისური გენემის აორტის ანევრიზმის დასადგენად ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია შემდეგი გამოკვლევები:

- ა) აუსკულტაცია;
- ბ) პერკუსია;
- *გ) რენტგენოგრაფია და სეროლიაგნოსტიკა;
- დ) სეროლიაგნოსტიკა.

814. მოგვიანებითი თანდაყოლილი სიფილისის დროს "ჰეტჩინსონის ტრიალის" შემადგენელია ნიშანია:

- ა) მაგარი სასის გუმა;
- *ბ) პარენქიმატოზული კერატიტი;
- გ) ხმლისებრი წვივები;
- დ) ნეკის დამოკლება.

815. რბილი შანკრის წყლულებს ახასიათებს ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) მრავლობითობა;
- ბ) მტკივნეულობა;
- *გ) ფუძეზე მკერივი ინფილტრატი;
- დ) კიდეების ჩაღრმავება;
- ე) ჩირქოვანი გამონადენი.

816. ნაადრევი თანდაყოლილი სიფილისის ღიაგნომი ისმება ყველა ჩამოთვლილ ასაკში, გარდა:

- ა) 6 თვემდე;
- ბ) 6 თვიდან ერთ წლამდე;
- გ) 1 წლიდან - 2 წლამდე;
- *დ) 2 წლიდან - 4 წლამდე.

817. მკრთალი ტრეპონემა აღმოჩენილია:

- ა) 1890 წ.
- ბ) 1895 წ;
- *გ) 1905 წ;
- დ) 1910 წ.

818. ნაადრევი თანდაყოლილი სიფილისის დროს რა ცვლილებებია სისხლში:

- ა) ლეიკოპენია;
- *ბ) ჰიპოქრომული ანემია;
- გ) თრომბოციტოპენია;
- დ) ეოზინოფილია.

819. მურგის გვინის გაბესის პათოგნომური გამოვლინებაა:

- ა) ანიზოკორია;
- ბ) არეფლქსია;
- *გ) არგაილ-რობერტსონის სინდრომი;
- დ) ატაქსია.

820. პათოგენური მკრთალი სპიროქეცის გაყოფის ციკლი გრძელდება:

- ა) 6 - 8 საათი;
- ბ) 10 - 12 საათი;
- გ) 15 - 20 საათი;
- *დ) 30 - 33 საათი;
- ე) 35 - 40 საათი.

821. 40 წლის მამაკაცს დაუდგინდა გვიანი ფარული სიფილისის დიაგნოზი. 15 წელია რაც ჰყავს მეუღლე. მეუღლის გამოკვლევით სიფილისის კლინიკური და სეროლოგიური ნიშნები არ დადგინდა ავადმყოფის მეუღლე

- *ა) სიფილისის საწინააღმდეგო მკურნალობას და კონტროლს არ ექვემდებარება;
- ბ) ექვემდებარება პრევენტულ მკურნალობას;
- გ) ექვემდებარება კლინიკო-სეროლოგიურ კონტროლს 3 თვის მანძილზე;
- დ) ექვემდებარება კონტროლს 6 თვის მანძილზე.

822. მკრთალი სპიროხეცის სიგრძე საშუალოდ შეადგენს

- ა) 1-2 მკმ;
- *ბ) 4-14 მკმ;
- გ) 20-25 მკმ;
- დ) 30-33 მკმ.

823. ნაადრევი ფარული სიფილისისათვის დამახასიათებელია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) წარსულში სასქესო ორგანოებზე გამონაყარი;
- ბ) სქესობრივ პარტნიორს აღენიშნება სიფილისის აქტიური ფორმა;
- *გ) სქესობრივ პარტნიორს აღენიშნება გვიანი ფარული სიფილისი;
- დ) რეაგინების მაღალი ტიტრი.

824. სიფილისით დასნებოვნების შემდეგ შანკრი ჩნდება

- ა) 1 კვირის შემდეგ;
- ბ) 2 კვირის შემდეგ;
- *გ) 3-5 კვირის შემდეგ;
- დ) 6-7 კვირის შემდეგ;
- ე) 8-9 კვირის შემდეგ.

825. დასაშვებია გუმოზური სიფილიდების განვითარების ყველა შედეგი, გარდა

- *ა) "მშრალი" უკვალო გაწოვა";
- ბ) დაწყულელება ნაწიბურის შემდგომი განვითარებით;
- გ) ფიბროზი;
- დ) ირადიაცია შემდგომი დაწყულელებით და ნაწიბურით.

826. ფარული სიფილისის დიაგნოზის დასაზუსტებლად საჭიროა ყველა ჩამოთვლილი სპეციალისტის კონსულტაცია, გარდა:

- ა) თერაპევტის;
- ბ) რენტგენოლოგის;
- გ) ნევროპათოლოგის;
- დ) ოტოლარინგოლოგის;
- *ე) უროლოგის.

827. სიფილისით დაავადებულთა პენიცილინოთერაპიის დროს შესაძლო გვერდით მოვლენებს მიეკუთვნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) ანაფილიაქსიური შოკის;
- ბ) დერმატიტის;
- გ) ჭინჭრის ციებს;
- დ) კანდილოზის;
- *ე) ნევროპათიის.

828. მოგვიანებითი სიფილისით გამოწვეული კუჭის დაზიანება ხასიიდება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი სიმპტომით, გარდა:

- ა) გულის რევის;
- ბ) ლორწოთი და ნაღველით ღებინების;
- გ) ეპიგასტრიუმის არეში ტკივილების;
- *დ) სისხლით უხვი ღებინების.

829. მესამეული სიფილისის დროს გუმის შედეგად განვითარებული ნაწიბურები

- ა) შიგნით შეწვეულია;
- *ბ) ვარსკვლავისებურია;

- გ) ბრტყელია;
- დ) მოზაიკის მსგავსია.

830. პაპულოზური სიფილიდის დიფერენციალური დიაგნოსტიკა უნდა ჩატარდეს ყველა ქვემოთჩამოთვლილ დაავადებასთან, გარდა

- ა) წითელი ბრტყელი ლიქენისა;
- ბ) წერტილოვანი პარაფსორიაზისა;
- გ) პემფიგუსისა;
- დ) ფსორიაზისა;
- *ე) რეკლინგაუმენის დაავადებისა.

831. გრეპონემების იმობილიზაციის რეაქციის დადგმა აუცილებელი იყო ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევაში, გარდა:

- *ა) პირველადი სიფილისის დიაგნოზის დასადასტურებლად;
- ბ) ფარული სიფილისის დიაგნოზის დასადასტურებლად;
- გ) კლასიკური სერორეაქციების და იმუნოფლუორესცენციის რეაქციის განსხვავებული შედეგების დროს;
- დ) ავადმყოფის აღრიცხვიდან მოხსნის გადასაწყვეტად.

832. მკრთალი სპიროქეტა არის:

- *ა) სპირალის (ზამზარას) ფორმის მიკროორგანიზმი;
- ბ) მრგვალი, ბურთულას ფორმის მიკროორგანიზმი;
- გ) ჩხირის ფორმის მიკროორგანიზმი;
- დ) ძაფის ფორმის მიკროორგანიზმი.

833. შესამეული სიფილისისათვის დამახასიათებელია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) ლამინების კეროვანი ხასიათი;
- ბ) კერების მიღრეკილება რლვევისადმი;
- გ) ნაწიბურების განვითარება;
- *დ) ტკივილი კერების არეში.

834. სიფილისის პირველადი პერიოდი გრძელდება:

- ა) 2-3 კვირა;
- ბ) 4-5 კვირა;
- *გ) 6-7 კვირა;
- დ) 8-10 კვირა;
- ე) 11-12 კვირა.

835. ხელის და ფეხის გულების პაპულოზური სიფილიდების ნაირსახეობას მიეკუთვნება ყველა ქვემოთჩამოთვლილი, გარდა:

- *ა) ფოლიკულარულის;
- ბ) ლენტიკულარულის;
- გ) ჰემორაგიულის;
- დ) გარქოვანებულის;
- ე) ბრტყელის.

836. მაგარი შანკრის გართულებებს მიეკუთვნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) ფიმოზის;
- ბ) პარაფიმოზის;
- გ) განგრენიზაციის;
- *დ) რეგიონალური სკლერაფენიგის;
- ე) ეროზიული ბალანოპოსტიგის.

837. მეორეული რეციდიული სიფილისის გამონაყარი ხასიათდება ყველა ჩამოთვლილი თვისებით, გარდა:

- ა) მცირე რიცხოვანია;
- ბ) არ არის მკვეთრად გამობზავული;
- გ) დიდი ზომისაა;
- *დ) არ გააჩნია დაჯგუფების გენდენცია.

838. სიფილისური ერთიმატოზური ანგინისათვის დამახასიათებელია:

- *ა) ხახაზე ერთიმატოზური მკვეთრად შემოფარგლული;
- ბ) ნუშისებრი ჯირკვლები ძლიერ შეშუპებულია;
- გ) ძლიერ გამზავულია ტკივილი;
- დ) მაღალია სიცხე.

839. სიფილისის ინკუბაციური პერიოდის შემცირება არ აღინიშნება:

- *ა) ანტიბიოტიკების მიღების დროს;
- ბ) მრავალრიცხოვანი მკვრივი შანკრების დროს;
- გ) მკვრივი შანკრის ბიპოლარული მდებარეობის დროს.

840. სიფილისის მეორეული სტადია ვითარდება დასნებოვნებიდან:

- *ა) 2-3 თვის შემდეგ;

- ბ) 4-5 თვის შემდეგ;
- გ) 6-7 თვის შემდეგ;
- დ) 8-9 თვის შემდეგ.

841. პუსტულოზური სიფილისის ნაირსახეობას მიეკუთვნება ყველა ქვემოჩამოთვლილი, გარდა:

- ა) აკნესმსგავსი;
- ბ) "ყვავილის" მსგავსი;
- გ) იმპეტიგინოზური;
- დ) რუპიის მსგავსი;
- *ე) პეპელას მსგავსი.

842. ფარული სიფილისის ფორმებს წარმოადგენს ყველა ქვემოჩამოთვლილი, გარდა:

- ა) ნაადრევი ფორმისა;
- ბ) გვიანი ფორმისა;
- გ) დაუმუსტებელი ფორმისა;
- *დ) სერონეგატიურისა.

843. სიფილისური აორტიტის ძირითადი ლოკალიზაციაა:

- *ა) აორტის აღმავალი არე;
- ბ) აორტის რკალი;
- გ) დაღმავალი არე;
- დ) მუცლის აორტა.

844. პაციენტს ჩაუტარდა სრულყოფილი მკურნალობა პენიცილინის ჯგუფის პრეპარატებით მეორეული რეციდივული სიფილისის გამო. მკურნალობის დაწყებამდე TPHA 4+ ტიტრი 1:80. ერთი წლის შემდეგ TPHA 2+ ექიმის ტაქტიკა:

- *ა) გაგრძელდეს კლინიკო-სეროლოგიური კონტროლი;
- ბ) ჩაუტარდეს დამატებითი პენიცილინოთერაპია;
- გ) ჩაუტარდეს დამატებითი თერაპია სხვა ანტიბიოტიკით.

845. მაგარი შანკრის ნაირსახეობებია ყველა ქვემოჩამოთვლილი, გარდა:

- ა) ჰერპესის მსგავსი;
- ბ) კომბუსტიოს მსგავსი;
- გ) ჰიპერტროფული;
- *დ) სერპინგირებალი.

846. ექსპერიმენტული სიფილისის დროს ხმარებაშია ტერმინი "ნულერი". ასე ეძახიან დასნევენებულ კურდღელს, რომელსაც:

- ა) აქვს სიფილისის კლინიკური ნიშნები მაგრამ სეროლოგია უარყოფითია;
- ბ) სეროლოგია უარყოფითია მაგრამ არ აქვს სიფილისის კლინიკური ნიშნები;
- *გ) არ აქვს სიფილისის კლინიკური ნიშნები სეროლოგიური რეაქციები უარყოფითია, ხოლო ლიმფურ კვანძებში და შინაგან ორგანოებში ნახულობენ მქრთალ სპიროქეტას.

847. 19 წლის ქალი, 8 კვირის პირველი ორსულობა, სიფილისის კლინიკური ნიშნები არ აქვს, მაგრამ ყველა სეროლოგია უარყოფითია. პირველი ქორწინებაა, ქმრის გარდა სქესობრივ კონტაქტებს უარყოფს. ქმრის კლინიკური და სეროლოგიური გამოკვლევის პასუხები უარყოფითია. ექიმის ტაქტიკა:

- ა) კლინიკო-სეროლოგიური დაკვირვება;
- *ბ) "საცლელი" სპეციფიური და პროფილაქტიკური მკურნალობის ჩატარება სიფილისის დიაგნოზის დასმის გარეშე;
- გ) ქალს აქვს ნაადრევი ფარული სიფილისი, ჩაუტარდეს სპეციფიური მკურნალობა, ქმარს - პრევენციული მკურნალობა.

848. ანალური ლოკალიზაციის მაგარი შანკრისათვის არ არის დამახასიათებელი:

- ა) მდებარეობა ანალურ ნაოჭში;
- ბ) "რაკეტის" მსგავსი ან ნახეთქის მსგავსი ფორმა;
- *გ) უმტკივნეულოა;
- დ) ფუძეში აქვს მკვრივი ინფილტრატი.

849. რბილი შანკრის სამკურნალოდ ეფექტურია ყველა ქვემოჩამოთვლილი პრეპარატი, გარდა:

- ა) სულფანილამიდების;
- *ბ) პენიცილინის;
- გ) ერიტრომიცინის;
- დ) ტეტრაციკლინის;
- ე) გენტამიცინის.

850. სიფილისური სკლერაფენიგისათვის ქვემოჩამოთვლილი ნიშნები არაა დამახასიათებელი, გარდა:

- ა) ძლიერი ტკივილი;
- ბ) ლიმფური კვანძები ძლიერ გადილებულია, მათი ზედაპირი მსხვილმარცვლოვანია;
- *გ) ლიმფური კვანძები მკვრივი-ელასტიური კონსისტენციისაა;
- დ) ლიმფური კვანძები ანთებალია, კანი ჰიპერემიულია.

851. მწვავე გენერალიზებული სიფილისური მენინგიტისათვის დამახასიათებელია ყველა ქვემოჩამოთვლილი, გარდა:

- ა) კერნიგის სიმპტომის;
- ბ) ბრუბინსკის სიმპტომის;
- *გ) არგაილ-რობერტსონის სიმპტომის;
- დ) ბაბინსკის სიმპტომის;
- ე) ოპენჰეიმის სიმპტომის.

852. ნეიროსიფილისის მოგვიანებით ფორმებს მიეკუთვნება ყველა ქვემოთხაზოთვლილი, გარდა:

- ა) გვიანი ფარული სიფილისური მენინგიტის;
- ბ) მენინგოვასკულარული და ვასკულარული სიფილისის;
- *გ) სიფილისური მენინგომიელიტის;
- დ) ზურგის გვინის ხმობის;
- ე) პროგრესული დამბლა.

853. სიფილისის ახალი ფორმების დროს გვხვდება თვალის ყველა ქვემოთხაზოთვლილი დაზიანება, გარდა:

- ა) ირიტი, ირიდოციკლიტის;
- ბ) ქორიორეგინიტი;
- გ) მხედველობის ნერვის ანთების;
- *დ) მხედველობის ნერვის პირველადი აგროფიის;
- ე) უევიტის.

854. 20 კვირის ორსულს დაუდგინდა მეორეული რეციდივული სიფილისი. მიიღო სპეციფიური, შემდეგ პროფილაქტიკური მკურნალობა ბენზილპენიცილინის პრეპარატებით. მშობიარობა დროული, ბავშვს სიფილისის გამოვლინება არ აქვს. ბავშვს უნდა ჩაუტარდეს:

- ა) პროფილაქტიკური მკურნალობა და 1 წლის მანძილზე კლინიკო-სეროლოგიური კონტროლი;
- *ბ) კლინიკო-სეროლოგიური კონტროლი 1 წლის მანძილზე;
- გ) კლინიკო-სეროლოგიური კონტროლი 3 წლის მანძილზე;
- დ) მკურნალობას და კონტროლს არ ექვემდებარება.

855. სიფილისის ახალი ფორმების დროს გვხვდება ძვალ-სახსართა ქვემოთხაზოთვლილი დაზიანებები, გარდა:

- ა) პერიოსტიტის;
- ბ) ოსტეოპერიოსტიტის;
- გ) ართრაღიის;
- *დ) კლექონის სინოვიტის;
- ე) ოსტეოართრიტის.

856. სუპერინფექცია არ არის:

- *ა) სიფილისისაგან განკურნებული პირის სიფილისით განმეორებითი დასნებოვნება;
- ბ) სიფილისის მოგვიანებითი ფორმით დაავადებულ ავადმყოფის ხელახლა დაავადება;
- გ) სიფილისის დაავადების წყაროსგან განმეორებითი ინფიცირება მასთან ინკუბაციური პერიოდის პირველი 2 კვირის განმავლობაში თანმიმდევრული სქესობრივი კონტაქტების დროს.

857. 18 კვირის ორსულს დაუდგინდა მეორეული რეციდივული სიფილისის დიაგნოზი და ჩაუტარდა სრულყოფილი სპეციფიური და პროფილაქტიკური მკურნალობა. მშობიარობისას სერორეაქციები ტრეპონემული ანტიგენით (4+). მშობიარობა დროული, ბავშვის წონა 2950, სიგრძე 50 სმ, ღვიძლი 1,5 სმ ნეკთა რკალის ქვემოთაა, I ხარისხის ოსტეოქონდრიტი, ტრეპონემული სერორეაქციების შედეგი (3+), რა აღენიშნება შავშვს:

- ა) მანიფესტური თანდაყოლილი სიფილისი;
- ბ) ფარული თანდაყოლილი სიფილისი;
- გ) თანდაყოლილი სიფილისი არ აღენიშნება;
- *დ) დიაგნოზი დაისმება შემდგომი დაკვირვების შედეგად.

858. იმუნოფლუორესცენციის რეაქციის იმპლირებული დაღებითი შედეგი პრევენტული მკურნალობის დროს მეტყველებს იმაზე რომ, პაციენტს აღენიშნება:

- ა) ნაადრევი ფარული სიფილისი;
- *ბ) სიფილისი ინკუბაციური პერიოდი;
- გ) ფარული სერონეგატიური სიფილისი.

859. რეინფექციის დიაგნოზი შესაძლოა დადგინდეს თუ პაციენტს აღენიშნება სიფილისის ყველა ქვემოთხაზოთვლილი სტადიის ნიშნები, გარდა:

- ა) პირველადი სიფილისის;
- ბ) მეორეული ახალი სიფილისის;
- გ) მეორეული რეციდივული სიფილისის;
- *დ) მოგვიანებითი ფარული სიფილისი.

860. "გარზალური ხრტილის" სიმპტომი ვლინდება თუ შანკრი მდებარეობს:

- ა) ქუთუთოზე;
- ბ) ასოს ზურგზე;
- *გ) ჩუჩაზე.

861. ვის უნდა უმაღლოდეს კაცობრიობა "სიფილისის" სახელწოდებით:

- ა) ჰიპოკრატეს;

- ბ) ავიცენას;
- გ) სუსრუტას;
- *დ) ფრაკასტოროს.

862. რომელ წელს იქნა შემუშავებული სეროლოგიური დიაგნოსტიკა სიფილისზე:

- ა) 1896;
- *ბ) 1906;
- გ) 1916.

863. ვის მიერ იყო შემუშავებული სეროლოგიური რეაქცია სიფილისზე:

- ა) ვასერმანის;
- ბ) ნეისერის;
- გ) ბრუკის;
- *დ) სამივე მიერ.

864. რომელი პრეპარატი იყო გამოყენებული ერლხის მიერ სიფილისის მკურნალობისათვის:

- *ა) სალვარსანი;
- ბ) ბიოქინოლი;
- გ) პენიცილინი.

865. რომელ წელს იყო პირველად გამოყენებული პენიცილინი სიფილისის მკურნალობისათვის:

- ა) 1929;
- *ბ) 1943;
- გ) 1949.

866. რა ტემპერატურაზე კვდება უეცრად მკრთალი სპიროქეტა:

- ა) 60°;
- ბ) 80°;
- *გ) 100°.

867. რა სახის იმუნიტეტი ვითარდება სიფილისით დაავადების დროს:

- ა) შექნილი;
- *ბ) არასტერილური;
- გ) თანდაყოლილი.

868. თუ ავადმყოფს აღენიშნება ფიმოზი რომელი ჯგუფის პრეპარატების მიცემა შეიძლება საბოლოო დიაგნოზის დადგენამდე:

- ა) პენიცილინის;
- ბ) ცეფალოსპორინების;
- გ) მაკროლიდების;
- *დ) სულფანილამიდების.

869. რას წარმოადგენს გერკსგემერის რეაქცია:

- *ა) ტემპერატურის მომატებას;
- ბ) ლებინებას.

870. მკურნალობის დაწყებამდე ავადმყოფს დაესვა პირველი ხანის სეროპოზიტიური სიფილისის დიაგნოზი, შესაძლებელია თუ არა მკურნალობის დაწყების შემდეგ შეიცვალოს დიაგნოზი:

- *ა) ღია;
- ბ) არა.

871. მეორადი რეციდიული სიფილისის ელემენტებისათვის დამახასიათებელია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) არა უხვი;
- ბ) ჯგუფებად განლაგებული;
- *გ) სიმეტრიული.

872. რომეოლები გვხვება ყველა ჩამოთვლილ ადგილზე, გარდა:

- ა) ტანზე;
- ბ) გულმკერდზე;
- გ) მუცელზე;
- *დ) სახეზე.

873. უმთავრესად რა ახასიათებს სიფილისურ რომეოლას:

- ა) წვა;
- ბ) ქავილი;
- *გ) უკვალოდ გაქრება;
- დ) აქერცვლა.

874. რომელი გამონაყარის დროს გვხვება "ბიგის საყელო":

- ა) როზეოლოზური;
- *ბ) პაპულოზური;
- გ) ფართე კონდოლმები.

875. რას წარმოადგენს "ბიეგის საყელო":

- ა) ელემენტების განლაგებას;
- *ბ) აქერცვლას.

876. რა არ ახასიათებს გრანსფუზიურ სიფილისს:

- *ა) შანკრი;
- ბ) როზეოლები;
- გ) პაპულები.

877. სიფილისური თმის ცვენა უმთავრესად გამოხატულია:

- *ა) თავზე;
- ბ) წარბებზე;
- გ) სახეზე;
- დ) კიდეებზე.

878. სიფილისური ლეიკოდერმა სპეციფიური მკურნალობის შემდეგ:

- ა) რჩება ცხოვრების ბოლომდე;
- ბ) მცირდება ან მაგულობს ზომამში;
- *გ) ქრება უკვალოდ.

879. რა განაპირობებს სიფილისური ინფექციის გალღისებურ მიმდინარეობას:

- ა) კლიმატური პირობები;
- ბ) ცხოვრების პირობები;
- *გ) მაკრო და მიკრო ორგანიზმების ურთიერთობა.

880. კონფრონტაციის შედეგად დადგინდა რომ ავადმყოფს 4 თვის წინ ჰქონდა სქესობრივი კავშირი მეორადი სიფილისით დაავადებულ პირთან. მას უნდა ჩაუტარდეს:

- ა) პრევენტული მკურნალობა;
- *ბ) კლინიკო-სეროლოგიური კონტროლი 3 თვის მანძილზე;
- გ) მკურნალობას ან დაკვირვებას არ საჭიროებს.

881. სერონეგატიური სიფილისის საბოლოო დიაგნოზი ისმევა:

- ა) მკურნალობის დაწყებამდე;
- ბ) მკურნალობის დამთავრებიდან 6 თვის შემდეგ;
- *გ) მკურნალობის დამთავრებისთანავე.

882. სიფილისით დაავადებულებში პიროთერაპია გამოიყენება ყველა შემთხვევაში, თუ თანხლები არ არის:

- ა) ჰეპატიტი;
- ბ) კუჭის წყლული;
- გ) საშვილოსნოს ფიბროზი;
- დ) ორსულობა.
- *ე) არ გამოიყენება.

883. თანდაყოლილი სიფილისის თავიდან ასაცილებლად საჭიროა სეროლოგიური გამოკვლევა:

- ა) ორსულობის პირველ ტრიმესტრში;
- ბ) ორსულობის ყოველ თვეს;
- გ) მშობიარობამდე ერთი თვით ადრე;
- *დ) ორსულობის პირველ და მეორე ნახევარში.

884. ბავშვებს პრევენტული მკურნალობა ენიშნებათ თუ:

- *ა) დედას აქვს აქტიური სიფილისი;
- ბ) დედამ სიფილისის მკურნალობა ჩაიტარა ორსულობის დროს;
- გ) დედამ სიფილისის მკურნალობა ჩაიტარა ორსულობამდე.

885. ავადმყოფს ასომე აღენიშნება წყლული და ბალანოპოსტიგის მოვლენები. დიაგნოზის დადგენამდე მიზანშეწონილია დაენიშნოს საფენები:

- ა) რიფანოლის;
- *ბ) ფიზიოლოგიური ხსნარის;
- გ) გიბიტანის;
- დ) გყვის წყლის.

886. სიფილისის აქტიური გამოვლინების მიზნით აუცილებელია ჩატარდეს სისხლის სეროლოგიური გამოკვლევები განყოფილებებში, გარდა:

- ა) ქირურგიული;

- ბ) ნეკროლოგიური;
- *გ) ინფექციური;
- დ) თერაპიული;
- ე) ტრავმატოლოგიური.

887. ატიპური შანკრის ნაირსახეობას წარმოადგენს ყველა ჩამოთვლილი, გარდა;

- ა) შანკრი ამიგდალიტი;
- *ბ) რბილი შანკრი;
- გ) შანკრი პანარიციუმში;
- დ) ინლურაციული შეშუპება.

888. სქესობრივ პარტნორებს (ცოლ-ქმარი) ჩაუკარდათ სიფილისის მკურნალობა. დაკვირვების პერიოდში ერთ-ერთს დაუღასტურდა სერორუმისტენგული სიფილისი. პარტნიორს უნდა ჩაუკარდეს:

- ა) პრევენტული მკურნალობა;
- ბ) სრული მკურნალობა;
- *გ) მკურნალობას არ საჭიროებს.

889. რა შემთხვევაში ვითარდება ფიმოზი

- ა) მრავლობითი წყლულების დროს
- *ბ) ინფექციის შეჭრის დროს
- გ) $KmnO_4$ -ის აბაზანების გამოყენების დროს
- დ) ანტიბიოტიკების მიღების დროს

890. რა შემთხვევაში ვითარდება პარაფიმოზი

- *ა) მექანიკური გაღიზიანების დროს
- ბ) ჰერპესის დროს
- გ) გეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკების მიღების დროს
- დ) ფილგვების ანთების დროს

891. რა შემთხვევაში გვხვდება ლინფაგოიტი

- ა) ფარული ათაშანგის დროს
- ბ) მოგვიანებითი ათაშანგის დროს
- გ) ნერვული სისტემის ათაშანგის დროს
- *დ) I ხანის ათაშანგის დროს

892. რა შემთხვევაში ვითარდება სპეციფიური ბუბონი

- *ა) სიფილისური ინფექციის დროს
- ბ) გონორეის დროს
- გ) გრიქომონიამის დროს
- დ) მიკობური პროცესის დროს
- ე) ტრამვის დროს

893. ვის მიერ იყო შემოტანილი ევროპაში სიფილისი ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით

- *ა) ქრისტეფორე კოლუმბის მეზღვაურის მიერ
- ბ) ვასკო-დე გამას თანამზრახველების მიერ
- გ) მიკლოხუ მაკლას თანამშრომლების მიერ
- დ) მარკო-პოლოს მეზღვაურების მიერ

894. რომელი სპიროქეტა არის სიფილისის გამომწვევი

- ა) Sp.Plaut-Vincenti
- ბ) Sp.dentium
- გ) Sp.buccalis
- *დ) Sp.pallida
- ე) Sp.refringens

895. რა არეში იხილება მკრთალი სპიროქეტა კლინიკური დიაგნოზის დასადგენად

- *ა) ბნელ არეში
- ბ) განათებულ არეში
- გ) ორივეში

896. რით უნდა მოხდეს წყლულის დამუშავება სპიროქეტაზე მასალის აღების დროს

- ა) გამოხდილი წყლით
- ბ) ღვინის სპირტით
- გ) იოდის ხსნარით
- დ) ფილიფსის ხსნარით
- *ე) ფიზიოლოგიური ხსნარით

897. შესაძლებელია თუ არა სიფილისის დროს ლიმფურ ჯირკვალში ინახოს მკრთალი გრეპონემა

- ა) არ შეიძლება
- *ბ) შეიძლება
- გ) თეორიულად შეუძლებელია

898. რომელი ინსტრუმენტით ხდება სიფილისური წყლულიდან სპიროქეტაზე მასალის აღება

- ა) შპრიცით
- ბ) პინცეტით
- გ) შპალელით
- *დ) მარყუქით
- ე) გამპონით

899. სიფილისის დროს შანკრი შეიძლება შეგვხვდეს

- ა) პირის ღრუში
- ბ) ანუსის ირგვლივ
- გ) საშვილოსნოს ყელზე
- *დ) ყველა ჩამოთვლილი სწორია

900. შანკრის გაჩენისთვის წინაპირობას წარმოადგენს კანისა და ლორწოვანი გარსის მთლიანობის დარღვევა

- ა) არ არის საჭირო
- ბ) ხანდახან გვხვდება
- *გ) აუცილებელია

901. საღ ხდება სპიროქეტის ინგენსიური გამრავლება

- *ა) შეჭრის ადგილზე ლიმფურ ჯირკვლებში
- ბ) გულის კუნთში
- გ) კუნთებში
- დ) ელენთაში
- ე) ძვლის ტვინში

902. მაგარი შანკრის ლოკალიზაციის ადგილები შეიძლება იყოს

- ა) პირის ღრუ
- ბ) ქველა ტუჩის შიგნითა ზედაპირი
- გ) მაგარი სასა
- დ) ასოზე
- ე) დიდ და მცირე სასირცხო ბაგეებზე
- *ვ) ყველა ჩამოთვლილი სწორია

903. ექსტრაგენიტალური შანკრი მდებარეობს

- ა) ასოს თავზე
- ბ) დიდ და მცირე სასირცხო ბაგეებზე
- გ) ჩუჩის შიგნითა ფურცელზე
- *დ) თითზე

904. შანკრი ანაბეჭდი გვხვდება

- ა) დიდ და მცირე სასირცხო ბაგეებზე
- ბ) ჩუჩის შიგნითა ფურცელზე და ასოს თავზე
- გ) ტუჩებზე
- *დ) ყველა ჩამოთვლილი სწორია

905. შანკრის არსებობის დროს შეიძლება თუ არა სუპერ ინფექციის განვითარება

- ა) არ განვითარდება
- ბ) განვითარდება კლიმატური პირობების გათვალისწინებით
- *გ) განვითარდება

906. სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებს მიეკუთვნება

- ა) B-ჰეპატიტი
- ბ) C- ჰეპატიტი
- გ) სიფილისი
- დ) გონორეა
- *ე) ყველა ჩამოთვლილი სწორია

907. სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებს მიეკუთვნება ყველა, გარდა

- ა) B-ჰეპატიტი
- ბ) C- ჰეპატიტი
- გ) სიფილისი
- დ) გონორეა
- *ე) პოლიომიელიტი

908. მამაკაცებში ინდურაციული შეშუპება გვხვდება

- *ა) სათესლე ჯირკვლების პარკზე
- ბ) თვალის ქუთუთოზე
- გ) პირის ღრუში
- დ) ფეხის და ხელის თითებზე

909. ქალებში ინდურაციული შეშუპება გვხვდება

- ა) თვალის ქუთუთოზე
- ბ) პირის ღრუში
- *გ) სასირცხო ბაგეებზე და კლიტორზე
- დ) სარძევე ჯირკვლებზე

910. სიფილისის პირველი სტადიის დროს ასოს თავზე შეიძლება აღინიშნოს

- ა) დიფუზური სიწითლე
- ბ) ეპითელიუმის ეროზიები
- გ) შერეულ ეროზიები
- დ) წყლულები
- ე) ქსოვილის შეშუპება
- *ვ) ყველა ჩამოთვლილი სწორია

911. ფიმოზის დროს ავადმყოფს აღენიშნება

- ა) ჩუჩის შეშუპება
- ბ) ჩუჩა ასოს თავზე არ გადადის
- გ) ჩუჩის შიგნითა ფურცლიდან ჩირქოვანი გამონადენი
- *დ) ყველა ჩამოთვლილი სწორია

912. სპიროქეგა ლორწოვან გარსში შეჭრის შემდეგ აზიანებს

- ა) ეპიდერმისის უჯრედშორის მილაკებს
- ბ) დრვრილოვან შრეს
- გ) დრვრილქვეშა ფენების ლიმფურ კაპილარებს
- *დ) ყველა ჩამოთვლილი სწორია

913. ნერვული სისტემის ათაშანგის დროს მიანდება

- ა) ძვლის ტვინი
- ბ) თირკმელები
- გ) ზედა სასუნთქი გზები
- *დ) ნერვული სისტემა

914. გეგსგეიმერის რეაქციის დროს ავადმყოფს შეიძლება გემპერაგურა ჰქონდეს, გარდა

- ა) 38°C-39°C
- ბ) 37°C-38°C
- *გ) 34°C-35°C
- დ) 40°C-41°C

915. მკურნალობის შემდეგ სიფილისური პოლიადენიგის მაქსიმალური გაწოვის პერიოდია

- ა) 2-3 თვე
- ბ) 1-2 თვე
- გ) 3-4 თვე
- *დ) 6-8 თვე

916. რომელი სპეციალისტის კონსულტაციაა აუცილებელი ნეიროლუქსის დიაგნოზის დასადგენად

- ა) ოკულისტის
- ბ) ნევროპათოლოგის
- გ) ფსიქიატრი
- *დ) ყველა ჩამოთვლილი სწორია

917. ნეიროლუქსის მკურნალობის დროს თვალის ნერვის დაზიანებისას რომელი პრეპარატი არ ინიშნება

- ა) გეტრაციკლინის ჯგუფი
- ბ) ვიგამინები
- გ) ანალგეტიკები
- *დ) იოდის პრეპარატები
- ე) კორტიკოსტეროიდები

918. პროლანგირებული ჯგუფის ანგიბიოტიკები რამდენ მომენტად კეთდება

- ა) ერთ მომენტად
- *ბ) ორ მომენტად
- გ) სამ მომენტად
- დ) ოთხ მომენტად

919. პროლაზგირებული ანგიბიოტიკის მიღების დროს რა შეიძლება განვითარდეს

- ა) თავის ტკივილი
- ბ) ურტიკარული გამონაყარი
- გ) ანაფილაქციური შოკი
- დ) გულის რევა ღებინებით
- *ე) ყველა ჩამოთვლილი სწორია

920. პაპულოზური სიფილიდების სახეებია

- ა) მონეტისებური
- ბ) ნუშულარული
- გ) ლენტიკულარული
- *დ) ყველა ჩამოთვლილი სწორია

921. პენიცილინის ჯგუფის ანგიბიოტიკების აუტანლობის შემთხვევაში სიფილისით დაავადებულ ავადმყოფს ენიშნება

- ა) მეტრონიდაზოლი
- ბ) მეთილურაცილი
- გ) იოდის პრეპარატები
- დ) ვიგამინები
- *ე) ერთერთი მათგანი

922. პაპულოზური სიფილიდების დიფერენციალური დიაგნოსტიკა უნდა ჩატარდეს დაავადებასთან

- ა) საყმაწვილო ლიქენი
- ბ) ბრტყელი წითელი ლიქენი
- გ) ფსორიაზი
- დ) პაპულონეკროტიული ტუბერკულოზი
- *ე) ყველა ჩამოთვლილი სწორია

923. როზეოლების წარმოქმნის მექანიზმი

- ა) ღრმა ვენების დაზიანება
- ბ) ზედაპირული ვენების დაზიანება
- გ) აორტის დაზიანება
- *დ) ზედაპირული კაპილარების გაფართოება

924. პუსტულოზური სიფილისის დაყოფა ხდება შემდეგნაირად

- ა) სიფილისური აკნე
- ბ) ყვავილისებური სიფილიდი
- გ) იმპეტიკოსებური სიფილიდი
- დ) სიფილისური ექტიმა
- ე) სიფილისური რეპრა
- *ე) ყველა ჩამოთვლილი სწორია

925. სიფილისური ალოპეცია შეიძლება იყოს

- ა) ბულობრივი
- ბ) დიფუზური
- გ) შერეული
- *დ) ყველა ჩამოთვლილი სწორია

926. სიფილისური ანგინის ნაირსახეობას მიეკუთვნება, გარდა

- ა) ფოლიკულარული ანგინა
- ბ) ვენსენის ანგინა
- *გ) ჩირქოვანი ანგინა

927. რომელი მიკროსკოპით შეიძლება მკრთალი გრეპონემის გამოკვლევა

- ა) სინათლის
- ბ) ლუმინესცენტური
- გ) ელექტრონული
- *დ) ყველა ჩამოთვლილი სწორია

928. რომელი ადგილიდან შეიძლება ავიღოთ მასალა მკრთალ სპიროქეტაზე გამოსაკვლევად

- ა) ლიმფური ჯირკვლიდან
- ბ) ფართე კონდილომებიდან
- გ) შანკრიდან
- *დ) ყველა ჩამოთვლილი სწორია

929. რომელი კონდილომები ახასიათებს სიფილისს

- ა) წვეტიანი კონდილომები
- *ბ) ფართე კონდილომები

- გ) კონტაგიოზური მოლუსკი
- დ) ნევეუსი

930. სიფილისის აქტიურ ფორმებს მიეკუთვნება

- ა) I ხანის სეროპოზიტიური სიფილისი
- ბ) II ხანის რეცენტული სიფილისი
- გ) II ხანის რეციდიული სიფილისი
- *დ) ყველა ჩამოთვლილი სწორია

931. ნერვული სიფილისისათვის დამახასიათებელია

- *ა) მხედველობის ნერვის აგროფია
- ბ) აორტის დამიანება
- გ) შინაგანი ორგანოების დამიანება
- დ) ფრჩხილების დამიანება

932. სიფილისისათვის დამახასიათებელია

- ა) რბილი შანკრი
- *ბ) მაგარი შანკრი
- გ) ფურუნკულიოზი
- დ) წვეტიანი კონდილომები
- ე) კარბუნკულიოზი

933. რა დიაგნოზი დაისმება ხელის და ფეხის გულებზე პაპულების არსებობის დროს

- ა) ფარული ხანის სიფილისი
- ბ) ნეიროლუესი
- გ) პირველი ხანის სიფილისი
- *დ) მეორე ხანის რეციდიული სიფილისი

934. რა დიაგნოზი დაისმება დადებითი სეროლოგიური რეაქციების დროს, სიფილისის კლინიკური ნიშნების არ არსებობისას

- ა) პირველი ხანის სეროპოზიტიური სიფილისი
- ბ) მეორე ხანის რეცენტული სიფილისი
- გ) მეორე ხანის რეციდიული სიფილისი
- *დ) ფარული ხანის სიფილისი

935. მკრთალი სპიროქეტისათვის დამახასიათებელი მოძრაობა

- ა) როტატორული
- ბ) საქანელასებური
- გ) სვლა წინ და უკან
- *დ) ყველა ჩამოთვლილი სწორია

936. რომელ საუკუნეში იყო პირველად სიფილისის ეპიდემია ევროპაში

- ა) მე-18 საუკუნეში
- ბ) მე-15 საუკუნეში
- *გ) მე-16 საუკუნეში
- დ) მე-20 საუკუნეში

937. სიფილისის წარმოშობის რა თეორია არსებობს

- ა) ქართული და რუსული
- *ბ) აღმოსავლური და ევროპული
- გ) სომხური და ამერბაიჯანული
- დ) აფრიკული და ჩინური

938. რა შემთხვევაში ვითარდება სიფილისური ალოპეცია

- ა) მიკროსპორიის დროს
- ბ) ტრიქოპიტიის დროს
- გ) ტრიქოგილომანიის დროს
- *დ) რეციდიული ათამანგის დროს
- ე) რეცენტული ათამანგის დროს

939. თეორიულად სპიროქეტას "წინაპარია"

- ა) Sp.dentium
- ბ) Sp.buccalis
- გ) Sp.refringens
- *დ) Sp.Urpallida

940. რას ეწოდება მკრთალი სპიროქეტის ნეგატიური შედეგა

- ა) მკრთალი სპიროქეტა ლურჯია
- *ბ) მკრთალი სპიროქეტა არ იღებება

- გ) მკრთალი სპიროქეცა წითელია
- დ) მკრთალი სპიროქეცა შავია

941. რას ეწოდება მკრთალი სპიროქეცის "პოზიტიური" შედეგება

- ა) როცა მკრთალი სპიროქეცა არ იღებება
- ბ) მკრთალი სპიროქეცა იღებება
- *გ) მკრთალი სპიროქეცა ნაწილობრივ იღებება

942. ა. ლიმფური ჯირკვლიდან პუნქტატის აღება ითვლება ხარისხიანად, როდესაც პრეპარატში ჭარბად არის

- ა) ლეიკოციტები
- ბ) თრომბოციტები
- *გ) ლიმფოციტები
- დ) ეოზინოფილები

943. ვასერმანის რეაქციის დადგმის დროს რომელი ცხოველის ერთროციტები იხმარება

- ა) კურდღლის
- ბ) ვირთხის
- გ) ზღვის გოჭების
- *დ) ცხერის
- ე) ღორის

944. აუტონოკულაცია რამდენ დღეში ახასიათებს მაგარ შანკრს

- ა) 2-3 დღის შემდეგ
- *ბ) 8-10 დღე
- გ) 15-20 დღე
- დ) 3 დღე

945. რა იწვევს მაგარი შანკრის გართულებას

- ა) უსუფთაობა
- ბ) მაღალი კონცენტრაციის საღებინფექციო მედიკამენტების ხმარება
- გ) გაღიზიანება შარდით
- დ) ურეთრიდან გამონადენით
- ე) გარეშე ინფექციის დამატება
- *ვ) ყველა ჩამოთვლილი სწორია

946. სიფილისის გამომწვევი მკრთალი ტრეპონემა გვხვდება შემდეგ ფორმებში, გარდა

- ა) სპირალური ფორმა
- ბ) ცისგის ფორმა
- გ) L-ფორმა
- *დ) რეალისებური ან მარცვლოვანი ფორმა

947. მკრთალი სპიროქეცის ცხოველყოფილობის ოპტიმალური ტემპერატურა

- *ა) . 27°C
- ბ) 37°C
- გ) 42°C
- დ) 55°C

948. სიფილისით დაავადებულს აღენიშნება წყლულის კვალი სასქესო ორგანოზე, განზე უხვი რომელოზური გამონაყარი, პოლიადენიტი, ისმება ღიაგნობი

- ა) პირველი ხანის სეროპოზიტიური სიფილისი
- ბ) მეორე ხანის რეციდიული სიფილისი
- *გ) მეორე ხანის ახალი (რეცენტი) სიფილისი
- დ) ნაადრევი ხანის ფარული სიფილისი

949. ლაბორატორიულ პირობებში მკრთალი ტრეპონემა შეიძლება აღმოვაჩინოთ, გარდა

- ა) ლიმფური კვანძებიდან აღებულ მასალაში
- *ბ) წყლულის ახლომდებარე სისხლძარღვიდან აღებულ სისხლში
- გ) წყლულიდან ან პაპულიდან აღებულ სერუმში

950. სიფილისისათვის დამახასიათებელი მაგარი შანკრი ჩნდება

- *ა) მიკროორგანიზმის შეჭრის ადგილას
- ბ) აუცილებლად სასქესო ორგანოებზე
- გ) სქესობრივი აქტის შემდგომ მიღებული ტრამვის ადგილას
- დ) ყველა შემთხვევაში სწორია

951. სიფილისურ ატიპიურ შანკრს განეკუთვნება

- ა) შანკრი ამიგდალიტი
- ბ) შანკრი პანარიციუმი

- გ) ინდურაციული შეშუპება
- *დ) ყველა ჩამოთვლილი

952. პაპულოზური გამონაყარი ხელის და ფეხის გულებზე უმეტესად სიფილისის რომელ სტადიას ახასიათებს

- ა) მეორე ხანის რეცენჯულ სიფილისს
- *ბ) მეორე ხანის რეციდიულ სიფილისს
- გ) ნაადრევი ხანის ფარულ სიფილისს
- დ) მამოძრავებელი აპარატის სიფილისურ დაზიანებას

953. ავადმყოფს აღენიშნება ბულობრივი თმის ცვენა, პოლაღენიტი, სისხლის სეროლოგიური რეაქციები დადებითია, ისმება ლიანგნოზი

- *ა) მეორე ხანის რეციდიული სიფილისი
- ბ) თავის თმიანი მიღამოს სიფილისი
- გ) ვისცერალური სიფილისი
- დ) ნევორეული სისტემის სიფილისი

954. ძელის სიფილისური დაზიანებებია

- ა) პერიოსტიტი
- ბ) ოსტიტი
- გ) ოსტეომიელიტი
- *დ) ყველა ჩამოთვლილი

955. სიფილისისათვის "უსაყვარლესი" ძვალია

- ა) ბარძაყის ძვალი
- ბ) მხრის ძვალი
- *გ) ღილი წვივის ძვალი
- დ) მცირე წვივის ძვალი

956. ძვლების სიფილისური ტკივილი შემდეგი ხასიათისაა

- *ა) ღამის
- ბ) დღის
- გ) დროის განურჩევლად მუდმივი

957. სიფილისით ნაყოფის დასნებოვნება ხდება

- ა) ჰემატოგენური გზით
- ბ) ლიმფოგენური გზით
- *გ) ორივე პასუხი სწორია

958. ნაყოფის დასნებოვნება სიფილისით მუცლად ყოფნის რომელ პერიოდში ხდება

- ა) ორსულობის I ნახევარში
- ბ) ორსულობის II ნახევარში: პლაცენტარული სისხლის მიმოქცევის ფუნქციონირების დაწყებისას
- *გ) პერიოდულობას მნიშვნელობა არ აქვს

959. თანდაყოლილი ათაშანგის დროს მომყოლი

- *ა) ზომასში გადიდებულია
- ბ) ზომასში შემცირებულია
- გ) ზომასში შეცვლილია

960. თანდაყოლილი ათაშანგის დროს პლაცენტაში ვითარდება შემდეგი პათოლოგიური ცვლილებები

- ა) ენდოვასკულიტი
- ბ) მეზოვასკულიტი
- გ) პერივასკულიტი
- დ) ხაოების სკლეროზი
- *ე) ყველა ჩამოთვლილი სწორია

961. მკრთალ გრეპონემაზე კვლევა თანდაყოლილი ათაშანგის დროს ხდება

- *ა) პლაცენტის გამონაწვლილიდან
- ბ) საკუთრივ პლაცენტიდან

962. თანდაყოლილი ათაშანგის დროს სახემე-ლიფუზური პაპულოზური ცვლილებები ძირითადად ლოკალიზდება

- ა) პირის ირგვლივ
- ბ) ნიკაპზე
- გ) შუბლზე
- დ) წარბებზე რკალზე
- *ე) ყველა ჩამოთვლილი სწორია

963. რას ეწოდება რობინსონ ფურნიეს ნაწიბურები

- *ა) თანდაყოლილი ათაშანგის შემდეგ პირის ირგვლივ დარჩენილ რადიალურ ნაწიბურებს
- ბ) გემოზური ელემენტების ალაგების შემდეგ განვითარებულ ნაწიბურებს

964. სიფილისის ინკუბაციურ პერიოდში ანტიბიოტიკების მიღება:

- *ა) ახანგრძლივებს ინკუბაციურ პერიოდს
- ბ) ამცირებს ინკუბაციურ პერიოდს
- გ) მნიშვნელობა არა აქვს

965. უხვი რომეოლური გამონაყარი ახასიათებს

- ა) პირველი ხანის სიფილისს
- *ბ) მეორე ხანის რეცენტულ სიფილისს
- გ) მეორე ხანის რეციდიულ სიფილისს
- დ) მესამე ხანის სიფილისს

966. პენიცილინის პრეპარატების გარდა რომელი ჯგუფის მედიკამენტებია სიფილისის სამკურნალოდ

- *ა) ტეტრაციკლინის
- ბ) სულფინილამიდების
- გ) ამინოგლიკოზიდების

967. პეტერსონ-ლეკერის სტრუქტობაცილა იწვევს

- ა) სიფილისს
- ბ) გონორეას
- *გ) რბილ შანკრს
- დ) ტრიქომონიამს

968. სეროლოგიური რეაქცია რეაგინების მაღალი ტიტრით დამახასიათებელია, გარდა

- ა) პირველი ხანის სიფილისისათვის
- ბ) მეორე ხანის სიფილისისათვის
- *გ) მესამე ხანის სიფილისისათვის

969. ზენინის მეთოდის დროს გამოიყენება

- *ა) პენიცილინი
- ბ) დოქსიციკლინი
- გ) კანამიცინი
- დ) პროკაინ-პენიცილინი

970. ზენინის მეთოდის მკურნალობის ხანგრძლივობაა

- ა) ერთი თვე
- ბ) ორი თვე
- *გ) ორი კვირა

971. ინკუბაციურ პერიოდში ანტიბიოტიკების მიღება იწვევს, გარდა

- ა) ინკუბაციური პერიოდის გახანგრძლივებას
- *ბ) ინკუბაციური პერიოდის შემცირებას
- გ) ფარული სიფილისის განვითარებას

972. თუ ავადმყოფს აღმოაჩნდა სიფილისის მანიფესტური ფორმა ინფექციის წყაროს აქვს

- ა) მეორე ხანის რეციდიული
- ბ) ნაადრევი ფარული ხანის
- *გ) ორივე პასუხი სწორია

973. განზე მეორადი სიფილიდებისათვის არ არის დამახასიათებელი

- ა) მწვავე ანთება
- ბ) ტკივილი
- გ) წვის შეგრძნება
- *დ) ყველა პასუხი სწორია

974. პირველადი სიფილისის დროს რეგიონალური სკლეროლენიგი ჩნდება

- ა) საზარდულში
- ბ) ყბის ქვეშ
- გ) ილიის ქვეშ
- *დ) ყველა პასუხი სწორია

975. პირის ღრუში არსებული პაპულები მიუთითებს

- *ა) მეორე ხანის სიფილისზე
- ბ) ორალურ სექსზე
- გ) დაავადების გენერალიზაციაზე

976. არგაილ-რობერტსონის სინდრომი გამოვლინდება

- ა) ნაადრევი ფარული სიფილისის

- ბ) მოგვიანებითი ფარული სიფილისის
- *გ) ზურგის გვინის ტაბესის
- დ) თვალის ნერვის ატროფიის

977. გულსისხლძარღვთა სიფილისის ღიაგნოსტიკისათვის ყველაზე ინფორმატიულია

- *ა) რენდგენოლოგიური გამოკვლევა
- ბ) ელექტროკარდიოგრაფია
- გ) სისხლის საერთო ანალიზი

978. სერონეგატიური სიფილისის ღიაგნოზი ისმევა თუ

- ა) სეროტეპციები არ არის დადებითი
- ბ) სერუმში აღმოჩნდა მქრალი სპიროქეტა
- *გ) ორივე პასუხი სწორია

979. ანალური ლოკალიზაციის მაგარი შანკრი მიუთითებს

- *ა) ანალურ სექსზე
- ბ) საყოფაცხოვრებო ინფიცირებაზე
- გ) დაავადების აგვიანებულ მიმდინარეობაზე

980. ნეიტროსიფილისის ღრის მკურნალობას იწყებენ

- ა) იოდის პრეპარატებით
- *ბ) პენიცილინით
- გ) პიროთერაპიით

981. ღურანტული ანგიბიოტიკის ორ მომენტად გაკეთება გულისხმობს

- ა) პრეპარატის ღრის გაყოფას
- *ბ) პრეპარატის სისხლძარღვში მოხვედრის თავიდან აცილებას
- გ) პრეპარატის ღრის გაყოფისას ღრის ინტეგრალის დაცვას

982. გოტალური ალოპეცია ახასიათებს

- ა) მეორე ხანის რეცენტულ სიფილისს
- ბ) მეორე ხანის რეციდივულ სიფილისს
- გ) მესამე ხანის სიფილისს
- დ) პროგრესულ პარალიზს
- *ე) არცერთი პასუხი არ არის სწორი

983. ფართე კონდილომები უკუგანვითარების შემდეგ ტოვებენ

- ა) ნაწიბურს
- *ბ) უკვალოდ ქრებიან
- გ) რჩება მეჭეჭები
- დ) ძნელად შესახორცებელ იარას

984. რომელი მოძრაობა არ ახასიათებს მქრალ სპიროქეტას

- ა) როტატორული
- ბ) სელა წინ და უკან
- გ) საქანელასებური
- *დ) მუხლუხოსებური

985. რომელი მიკროსკოპი გამოიყენება მკრთალი სპიროქეტის L-ფორმის აღმოსაჩენად

- ა) სინათლის
- ბ) ლუმინესცენტური
- *გ) ელექტრონული

986. ლაბორინტული სიყრუეე პათოგნომური სიმპტომია

- ა) მესამე ხანის სიფილისის
- ბ) ფარული ხანის სიფილისის
- გ) ნაადრევი თანდაყოლილი სიფილისის
- *დ) მოგვიანებითი თანდაყოლილი სიფილისის

987. უმთავრესად სად არის გამოხატული ლეიკოდერმა

- ა) ზედა კიდურებზე
- ბ) ქვედა კიდურებზე
- *გ) კეფის არეში

988. ავადმყოფს დაუდგინდა მწვავე გონორეა და ნაადრევი ფარული სიფილისი. ამბულატორიული მკურნალობის პირობებში ექიმის ტაქტიკა

- ა) უპირველესად გონორეის მკურნალობა
- ბ) უპირველესად სიფილისის მკურნალობა

*გ) ორივე დაავადების ერთდროული მკურნალობა

989. კანის ლიმფური ინფილტრაცია სიფილისის დროს პირველად აღწერა

- ა) ჰერბამ
- ბ) რიკორმა
- გ) ფურნიემ
- *დ) გოხზინგერმა

990. პაროს დაავადების დროს ზიანდება

- ა) მხედველობა
- ბ) სმენა
- გ) ღვიძლი
- *დ) კიბურები

991. თანდაყოლილი სიფილისის პენიცილინით მკურნალობის დროს საღლაღამისო დოზა განისაზღვრება

- ა) ბავშვის ასაკის მიხედვით
- ბ) ბავშვის წონის მიხედვით
- *გ) ორივეს გათვალისწინებით

992. პირველი ხანის სიფილისის კლინიკო-სეროლოგიური კონტროლი გრძელდება

- *ა) ერთი წელი
- ბ) ორი წელი
- გ) სამი წელი

993. ნაადრევი ფარული სიფილისის კლინიკო-სეროლოგიური კონტროლი გრძელდება

- ა) ხუთი წელი
- *ბ) ორი წელი
- გ) ერთი წელი

994. რომელ პერიოდში უფრო მეტად გადამდებია დაავადებულ დონორის სისხლი:

- ა) ინკუბაციურ;
- *ბ) აქტიურ;
- გ) ფარულ.

995. სიფილისის დროს გადამდებია:

- ა) შარდი;
- ბ) ოფლი;
- *გ) სპერმა.

996. შანკრ-პანარიციუმი შესაძლებელია განვითარდეს:

- ა) მკურნალობა დროულად არ არის დაწყებული;
- ბ) ავადმყოფი არღვევს რეჟიმს;
- *გ) პეგინგის დროს.

997. ინლურაციული შეშუპების დროს ზიანდება:

- ა) არტერიები;
- ბ) ვენები;
- *გ) კანის ლიმფური სადინარები.

998. ფართე კონდილომების განვითარების ადგილია:

- ა) ანუსის მიდამო;
- ბ) საზარდულის ნაოჭები;
- გ) სათესლე ჯირკვლების პარკი;
- *დ) ყველა პასუხი სწორია.

999. ჰექსამერის რეაქცია დაკავშირებულია:

- ა) წამლის აუტანლობასთან;
- ბ) ალკოჰოლის მიღებასთან;
- *გ) სპიროქეტების დაღუპვასთან;
- დ) ინფექციის გამწვავებასთან.

1000. რომელი პრეპარატი კეთდება ორ მომენტად:

- ა) პენიცილინი;
- *ბ) ბიცილინი;
- გ) პრედნიზოლონი;
- დ) ცეფტრიაქსონი.

1001. აორტის ანევრიზმამ შეიძლება გამოიწვიოს:

- ა) თრომბოემბოლია;
- ბ) ქოშინი;
- გ) აფონია;
- დ) ლისფაგია;
- *ე) ყველა პასუხი სწორია.

1002. ჯვარელინი ბუბონი ეწოდება ლიმფადენიტს თუ ის მღებარეობს საზარდულში:

- ა) შანკრის მღებარეობის მხარეს;
- *ბ) შანკრის მღებარეობის მეორე მხარეს;
- გ) შანკრის მღებარეობის ორივე მხარეს.

1003. ნეიროსიფილისის განვითარებას ხელს უწყობს, გარდა:

- ა) ახალი ფორმების არასაკმარისი მკურნალობა;
- ბ) თანმხლები ქრონიკული ინფექციები;
- გ) იმუნური სტაგნულის დაქვეითება;
- დ) ინტოქსიკაციები;
- *ე) დაავადებულ პირთან ხშირი სქესობრივი კონტაქტი.

შარდსასქესო ორგანოთა გონორეული და არაგონორეული დაავადებანი

1004. გონორეის გამომწვევი მიკროორგანიზმი გონოკოკი განეკუთვნება:

- *ა) გრამ-უარყოფით ლიპოკოკებს;
- ბ) გრამ-დადებით ლიპოკოკებს;
- გ) გრამ-ვარიანბელურ ლიპოკოკებს;
- დ) გრამ-უარყოფით კოკობაცილებს;
- ე) გრამ-ვარიანბელურ კოკობაცილებს.

1005. გონოკოკის ბაქტერიოსკოპიული იდენტიფიკაცია ეფუძნება ყველა ქვემოჩამოთვლილ ნიშნებს, გარდა:

- ა) ლიპოკოკია;
- ბ) გრამ-უარყოფითია;
- *გ) გრამ-დადებითია;
- დ) უჯრედ-შილა განლაგებით ხასიათდება.

1006. შაქრის შემცველ საკვებ ნიადაგებში გონოკოკი რომელი შაქრის ფერმენტაციას იწვევს:

- ა) ლაქტოზის;
- ბ) გალაქტოზის;
- *გ) ლექსტროზის;
- დ) საქაროზის;
- ე) რიბოზის.

1007. გონორეის რეციდივების ყველაზე ხშირი მიზეზია გონოკოკის ასოციაცია:

- ა) ქლამიდიასთან;
- ბ) კანდიდასთან;
- *გ) ტრიქომონალასთან;
- დ) ურეაპლაზმასთან;
- ე) გარდნერელასთან.

1008. გონორეის ექსპერიმენტული მოდელი მიღებულია შემდეგ ცხოველებში:

- ა) მაიმუნებში;
- ბ) ზღვის გოჭებში;
- გ) კურდღლებში;
- დ) ძაღლებში;
- *ე) არც ერთი ჯიშის ცხოველებში.

1009. გონოკოკები იოლად აზიანებენ:

- ა) მრავალშრიან ბრტყელ გარქოვანებად ეპითელიუმს;
- ბ) გარდამავალ ეპითელიუმს;
- *გ) ცილინდრულ ეპითელიუმს;
- დ) მრავალშრიან ბრტყელ გარქოვანებად ეპითელიუმს;
- ე) კუბურ ეპითელიუმს.

1010. გონოკოკები ორგანიზმში ვრცელდება ყველა ქვემოჩამოთვლილი გზებით, გარდა:

- ა) ლიმფოგენურის;
- ბ) ჰემატოგენურის;
- გ) გენიტალიუმის ლორწოვანი გარსის ზედაპირის;
- *დ) აირწვეთოვანის.

1011. გონორეის კლინიკური ფორმები ითვალისწინებს ყველა ქვემოჩამოთვლილ ფორმას, გარდა:

- ა) ახალი მწვავე;
- ბ) ახალი ქვემწვავე;
- გ) ახალი გორპიდული;
- *დ) რეცენგული;
- ე) ქრონიკული.

1012. ფორმა 089- შეივსება იმ ავადმყოფებზე, რომელთაც გონორეის ღიაგნობი დაუდგინდათ:

- *ა) ლაბორატორული გამოკვლევებით;
- ბ) ურეთროსკოპიით;
- გ) კონფრონტაციით;
- დ) ანამნეზით;
- ე) კლინიკური სურათის მიხედვით.

1013. ახალი მწვავე წინა ურეთრიგი ხასიათდება ყველა ქვემოჩამოთვლილი ნიშნებით, გარდა:

- ა) უხვი ჩირქოვანი გამონადენი;
- ბ) ტკივილი შარდის დროს;
- გ) ურეთრის ბაგეების ჰიპერემია;
- *დ) ჩირქოვანი ფიფქები შარდის ორივე ულუფებში;
- ე) ჩირქოვანი ფიფქები შარდის პირველ ულუფაში.

1014. გონორეით დაავადებულ ქალებს უმეტესად შემდეგი კლინიკური ფორმა აღენიშნებათ:

- ა) ახალი მწვავე;
- ბ) ახალი ქვემწვავე;
- *გ) ახალი გორპიდული;
- დ) ლაგენტური.

1015. ქალებში ახალი მწვავე ურეთრიგი ხასიათდება ყველა ქვემოჩამოთვლილი ნიშნით, გარდა:

- ა) ურეთრის ბაგეების ჰიპერემია;
- ბ) ურეთრის კედლების მკვრივი ელასტიური კონსისტენცია;
- გ) ურეთრიდან ჩირქოვანი გამონადენი;
- დ) გახშირებული შარდვა;
- *ე) ურეთრის კედლების აგროფია.

1016. მამაკაცებში გონორეული ეთიოლოგიის გოგალური ურეთრიგი ხასიათდება ყველა ქვემოჩამოთვლილი ნიშნით, გარდა:

- ა) ურეთრის ბაგეების ჰიპერემია, ციანობი;
- ბ) მცირე ჩირქოვანი გამონადენი ურეთრიდან;
- გ) ტკივილი შარდის ბოლოს;
- დ) შარდის ორივე ულუფაში მცირე ოდენობის ჩირქოვანი ფიფქები;
- *ე) შარდის პირველ ულუფაში მცირე ოდენობის ჩირქი, ძაფები და ფიფქები.

1017. ქრონიკული ფოლიკულური პროსტატიტის ნიშნებია:

- ა) სწორი ნაწლავის არეში უცხო სხეულის შეგრძნება;
- ბ) ურეთრიდან გამონადენი;
- გ) პროსტატის წვენიში მაღალი ლეიკოციტოზი;
- დ) პალპაციით ვლინდება კვანძოვანი წარმონაქმნები;
- *ე) ყველა ზემოჩამოთვლილი.

1018. მწვავე გონორეული ორქოეპიდდიმიტით დაავადებულს მიზანშეწონილია ჩაუტარდეს ყველა ქვემოჩამოთვლილი გამოკვლევა, გარდა:

- *ა) წინამდებარე ჯირკვლის წვენის გამოკვლევის;
- ბ) შერეული ინფექციის დასადგენად ურეთრის გამონადენის გამოკვლევის;
- გ) შარდის საერთო ანალიზის;
- დ) სისხლის საერთო ანალიზის;
- ე) შარდის ულუფის სინჯის გამოკვლევის.

1019. გოგალური ურეთროსკოპიის ჩატარება ნაჩვენებია ყველა ქვემოჩამოთვლილი დაავადების დროს, გარდა:

- ა) ქრონიკული პროსტატიტის;
- *ბ) მწვავე პროსტატიტის;
- გ) ლითრეიტის;
- დ) ქრონიკული ურეთრიტის;
- ე) იმპოგენციის.

1020. მწვავე პარენქიმატოზული პროსტატიტის დიაგნოზი ეფუძნება ყველა ქვემოჩამოთვლილ გამოკვლევას, გარდა:

- ა) ნაცხის ბაქტერიოსკოპიული გამოკვლევის;
- *ბ) ურეთროსკოპიის;
- გ) შარდის 3 ულუფის გასინჯვის;
- დ) წინამდებარე ჯირკვლის პალპაციის;
- ე) წინამდებარე ჯირკვლის ექოსკანირების.

1021. ურეთრის სკრიქტურის ნიშნებია ყველა ქვემოთხაზოთვლილი, გარდა:

- ა) ურეთრალური გამონაღენის;
- ბ) გაძნელებული და გახანგრძლივებული შარღვის;
- გ) ბუკირების და ურეთროსკოპის ჩაგარების გაძნელების;
- ღ) ურეთროსკოპით ურეთრის ნაწიბურების აღმოჩენის;
- *ე) შარღვის შეუკავებლობის.

1022. გონორეის მწვავე და ქვემწვავე ფორმებით დაავადებულთა სამკურნალოდ ნაჩვენებია თერაპია:

- ა) გონოვაქცინით;
- *ბ) ანტიბიოტიკებით;
- გ) ტრიქოპოლით;
- ღ) პიროგენალით.

1023. მწვავე და ქვემწვავე გონორეით დაავადებულთა კომპლექსური მკურნალობა შეიცავს ყველა ქვემოთხაზოთვლილს, გარდა:

- ა) ანტიბიოტიკების;
- *ბ) გონოვაქცინის;
- გ) ანტიჰისტამინური პრეპარატების;
- ღ) კალციუმის პრეპარატების;
- ე) სპაზმოლიტური პრეპარატების.

1024. გონორეის მწვავედ მიმდინარე რეციღვის დროს მკურნალობა გარღება:

- ა) გონოვაქცინით;
- ბ) პიროგენალით;
- გ) პროდიგოზანით;
- *ღ) ფლორის მგრძობელობის სექტრის მიხედვით შერჩეული ანტიბიოტიკით;
- ე) იგივე ანტიბიოტიკით.

1025. მიუთითეთ გონორეის გორპიღული და ქრონიკული ფორმებით დაავადებულთა მკურნალობის სწორი ტაქტიკა:

- ა) იმუნოთერაპია, ანტიჰისტამინური პრეპარატები;
- *ბ) ანტიბაქტერიული პრეპარატები, აღგილობრივი პროცედურები;
- გ) აღგილობრივი პროცედურები.

1026. ფიტც-ჰიუ-კურტისის სინდრომი:

- *ა) მწვავე ქღამიღიური პერიგონიტისა და მწვავე ფიბროზული პერიგონიტის თანაარსებობა;
- ბ) მწვავე ქღამიღიური პერიგონიტისა და მწვავე საღპინგოლოფორიტის თანაარსებობა;
- გ) მწვავე ფიბროზული პერიგონიტისა და მწვავე ქღამიღიური ენღომეტრიტის თანაარსებობა.

1027. ქღას დაუღგინღა გონორეული ეთიოლოღიის ქრონიკული ურეთრიტი და ენღოცერვიციტი. ექიმის ტაქტიკა:

- ა) ანტიბიოტიკოთერაპია;
- ბ) არასექციფიური იმუნოთერაპია;
- გ) აღგილობრივი მკურნალობა;
- *ღ) ყვეღა ზემოთხაზოთვლიღი.

1028. ავადმყოფს დაუღგინღა ქღამიღიური ეთიოლოღიის წინა ურეთრიტი. რომელი პრეპარატი უნღა დაუნიშნოთ:

- ა) ამინოღლიკომიღი;
- *ბ) ფტორირებული ქინღონი;
- გ) მე-4 გენერაციის ცეფაღოსპორინი;
- ღ) მეტრონიღაზოღი;
- ე) ფლეკონაზოღი.

1029. ტრიქომონაღული ეთიოლოღიის ვულვოვაგინიტისათვის დაღახასიათებელია ყვეღა ქვემოთხაზოთვლიღი სიმპტომი, გარდა:

- ა) მტკივნეული შარღვა;
- ბ) წვა, ქაღიღი გენიგაღიუმის არეში;
- გ) ქაღიღიანი გამონაღენი;
- ღ) გენიგაღიუმის ღორწოვანის ჰიპერემია;
- *ე) ხაჭოსებრი გამონაღენი.

1030. ზოგაღი მკურნალობა რეიგერის დაავადების ინფექციურ-ტოქსიური სგაღის დროს შეიცავს ყვეღა ქვემოთხაზოთვლიღს, გარდა:

- ა) ღემინგოქსიკაციური თერაპია;
- ბ) ჰიპოსენსიბიღიზაცია;
- გ) ანტირეღმატიული პრეპარატები;
- ღ) ტეტრაციკლინის ჯგუფის პრეპარატები;
- *ე) სულფანიღამიღური პრეპარატები.

1031. გონორეული ეთიოლოღიის ქრონიკული ენღოცერვიციტით დაავადებულ ორსულთა მკურნალობა გარღება:

- *ა) ორსუღობის ყვეღა პერიოდში;
- ბ) ორსუღობის მეორე ნახეღარში;

- გ) ორსულობის მეორე ტრიმესტრიდან საშვილოსნოს ყელის არხში სამკურნალო პრეპარატების შეყვანის გარეშე;
- დ) ორსულობის მესამე ტრიმესტრიდან;
- ე) არ გარღება.

1032. მწვავე გონორეული ენდოცერვიციტით დაავადებულ ორსულთა სამკურნალოდ გონოფაქცინა გამოიყენება:

- ა) ორსულობის ყველა პერიოდში;
- ბ) პირველ ტრიმესტრში, შემცირებული დოზებით;
- გ) მე-2 და მე-3 ტრიმესტრში გაზრდილი დოზებით;
- დ) მე-2 და მე-3 ტრიმესტრში შემცირებული დოზებით;
- *ე) არ გამოიყენება.

1033. როგორც წესი, ქვემოჩამოთვლილი რომელი კერიდან არ აიღება მასალა გონორეაზე გამოსაკვლევად:

- ა) ურეთრიდან;
- ბ) პარაურეთრალური და ბართოლინის ჯირკვლებიდან;
- გ) სწორი ნაწლავიდან;
- *დ) საშოს უკანა თალიდან;
- ე) საშვილოსნოს ყელის არხიდან.

1034. ქრონიკული გონორეული ინფექციით დაავადებულთა მკურნალობა შეიცავს:

- ა) ეთიოლოგიურ მკურნალობას;
- ბ) სიმპტომატურ მკურნალობას;
- გ) ალგილობრივ მკურნალობას;
- *დ) ყველა ზემოჩამოთვლილს.

1035. გონორეის საწინააღმდეგო კომპლექსური მკურნალობის დასრულებიდან 10-12 დღის შემდეგ ქალს კვლავ აღენიშნება კლინიკური სიმპტომები, თუმცა ეთიოლოგიური განკურნება მიღწეულია. ამ შემთხვევაში საჭიროა:

- ა) მკურნალობის განმეორებითი კურსის ჩატარება გონოკოკის სუფთა კულტურის მგრძობელობის თანახმად;
- *ბ) ჩატარდეს გამოკვლევა თანმხლები ინფექციების დასადგენად და დაენიშნოს ადექვატური მკურნალობა;
- გ) ჩატარდეს სადიაგნოსტიკო ლაპაროსკოპია;
- დ) განმეორებით ჩატარდეს გამოკვლევა გონორეაზე მენსტრუაციის დროს;
- ე) დაენიშნოს იმუნოთერაპია ალგილობრივი მკურნალობის ფონზე.

1036. გონორეულ-ქლამიდიურ-ურეაპლაზმურ ინფექციაზე გამოკვლევის ჩვენებებს წარმოადგენს ყველა ქვემოჩამოთვლილი, გარდა:

- ა) უნაყოფო ქორწინება;
- *ბ) ფარისებრი ჯირკვლის დისფუნქცია;
- გ) ორსულობის პათოლოგია;
- დ) მცირე მენჯის ორგანოთა ქრონიკული ანთებითი დაავადებები;
- ე) მენსტრუალური ციკლის დარღვევები.

1037. ქვემოჩამოთვლილი რომელი არაგონორეული ეთიოლოგიის ვულვოვაგინიტთან უნდა გაგარდეს გონორეული ეთიოლოგიის ვულვოვაგინიტის დიფერენციალური დიაგნოსტიკა:

- ა) ნივთიერებათა ცვლის დარღვევის შედეგად განვითარებული ვულვოვაგინიტი;
- ბ) მექანიკური და თერმული გაღიზიანების შედეგად განვითარებული ვულვოვაგინიტი;
